| | მასალების გაცნობის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ მრავალფეროვან შემაჯამებელ დავალებებს, მათ შორის კომპლექსურს. მაგალითად მე-6 კლასში, მათემატიკის კომპლექსური დავალება - ,,ფორტ-ბოიარდის განძი“ - პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებული. მასწავლებლის კომენტარიდან კარგად ჩანს რჩევები და რეკომენდაციები, რომლებიც მოსწავლის აკადემიური შედეგებისა გაუმჯობესებას ემსახურება.<br>სასკოლო გეგმით განსაზღვრულია კლასისა და საფეხურის დაძლევის ბარიერები, აგრეთვე სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულების, გაანგარიშების წესები.<br>მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესის თანახმად, სკოლამ საფეხურის დაძლევის ალტერნატიული შემოწმების მიზნით შესაძლოა ჩაატაროს სადიაგნოსტიკო ტესტირება, რომლის მიზანია, დააგინოს შემდეგი საფეხურისთვის მოსწავლის მზაობა აკადემიური შედეგებისა და გასავითარებელი უნარების მიხედვით. შედეგები და რეკომენდაციები კონფიდენციალურია. ტესტირების ჩატარების თარიღის, მოცულობის და ხანგრძლივობის შესახებ ინფორმაცია ზუსტდება საფეხურის დამამთავრებელ კლასებში და ქვეყნდება საჯაროდ.<br>2021-2022 სასწავლო წელს წლიური გამოცდა არ არის დაგეგმილი.<br>სსგ-ში გაწერილია სემესტრული, საშემოდგომო და ექსტერნის გამოცდების ჩატარების წესები და პირობები.<br>სსგ მოიცავს DSD სადიპლომო პროგრამაში ჩართული მოსწავლეების შეფასების პრინციპებს. მოცემულია გერმანულ ენაში საგამოცდო ტესტის შეფასების კრიტერიუმები და განსაზღვრულია კლასებში ტესტირების ორგანიზების საკითხები. მე-9, მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეებისთვის B-1საფეხურის დიპლომის დამადასტურებელ გამოცდას ატარებს გერმანული მხარე. დიპლომის აღების შემთხვევაში მოსწავლის წლიური ქულა არის-10.<br>TOEFEL სასერთიფიკაციო პროგრამის ფარგლებში მოსწავლეები ფასდებიან განმავითარებელი შეფასებით-კომენტარების სახით პროგრესისა და რეგრესის ჩვენებით. მოსწავლეებს გადაეცემათ დონის შესაბამისი სერთიფიკატები. ტესტების შედგენაზე, ჩატარებასა და შემოწმებას უზრუნველყოფს ETS Global. ტესტირების შედეგები |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გავლენას არ ახდენენ სემესტრულ და წლიურ შეფასებაზე. შედეგების მიხედვით მოსწავლეები შემდეგი სასწავლო წლისთვის გადანაწილდებიან ჯგუფებში შესაბამისი დონის მიხედვით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა<br>• მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები.02/09/2021 ოქმი-1<br>• შეფასების რუბრიკები საგნების მიხედვით<br>• შემაჯამებელი დავალებების ანალიზები;<br>• შემაჯამებელი/ კომპლექსური დავალებების ნიმუშები<br>• მოსწავლის მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები<br>• გასაუბრება მოსწავლეებთან<br>• გასაუბრება მშობლებთან<br>• ვიზუალური დათვალიერებით |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს საქართველოს სასწავლო ცენტრი ჯი-ელ-სის მშობლის ინფორმირებისა და სასკოლო ცხოვრებაში მისი მონაწილეობის წესის დამტკიცების თაობაზე სკოლის დირექტორის 2017 წლის 16 იანვრის #2/142 ბრძანებით რეგულირდება სკოლაში მშობელთან ურთიერთობა, რომლის მიზანიცაა მშობლების დროული ინფორმირება მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასა და სოციალურ, ემოციურ თუ ინტელექტუალურ განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებების თაობაზე.<br>მშობლის ინფორმირების და სასკოლო ცხოვრებაში მისი მონაწილეობის წესი განსაზღვრავს შვილის განათლების პროცესში მშობლის ჩართულობის მიზნებს; მის ფუნქცია-მოვალეობებს; სკოლაში გამოცხადების წესს, რომელიც კათედრების მიერ წინასწარ არის დაგეგმილი, თუმცა საჭიროების შემთხვევაში ხდება დირექციასთან |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შეთანხმება; მშობლის ინფორმირების მიზნით სკოლას აქვს ელექტრონული ჟურნალი (schoolbook), რომლის საშუალებითაც მშობელს ნებისმიერ დროს შეუძლია გაეცნოს შვილის აკადემიურ მოსწრებას, გაცდენებს, მიცემულ საშინაო დავალებებს, დამატებითი კითხვების შემთხვევაში ჰქონდეს კონკრეტულ მასწავლებელთან კომუნიკაცია. ამის გარდა, მშობელთა ინფორმირებისა და ჩართულობისათვის გამოყენებულია:<br>• სკოლის ვებგვერდი, ფეისბუქის დახურული ჯგუფები კლასების მიხედვით;<br>• დამრიგებელთა ორგანიზებული შეხვედრები და ასევე საჭიროების მიხედვით განსაზღვრული შეხვედრები (ადმინისტრაციასთან, საგნის მასწავლებელთან);<br>• მშობელთა კლუბის ორგანიზებული სხდომები;<br>• სკოლაში მიმდინარე სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ ინფორმაცია მშობელს მიეწოდება კლასის დამრიგებლისა და მასწავლებლის მეშვეობით ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით;<br>• სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობისათვის მუშაობს მშობელთა კლუბი, საქმიანობის დებულების შესაბამისად.<br>დებულების თანახმად თითოეულ მშობელს შესაძლებლობა აქვს სურვილისამებრ მონაწილეობა მიიღოს სკოლის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებსა თუ აქტივობებში.<br>მშობელთა ინფორმირების წესი არეგულირებს მოსწავლის /მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების/საჩივრის განხილვის წესსაც.<br>სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი უზრუნველყოფს მშობლის სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს საქართველოს სასწავლოს ცენტრი ჯი-ელ-სის სასწავლო პროცესის რეგულირების წესი, დამტკიცებულია პედსაბჭოს მიერ ოქმი #1, 02.09.2021წ;<br>• შპს საქართველოს სასწავლო ცენტრი ჯი-ელ-სის მშობელთა კლუბის დებულების დამტკიცების შესახებ ბრძანება #2/241, 30 აგვისტო, 2019წ. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • შპს საქართველოს სასწავლო ცენტრი ჯი-ელ-სის მშობლის ინფორმირებისა და სასკოლო ცხოვრებაში მისი მონაწილეობის წესის დამტკიცების თაობაზე სკოლის დირექტორის 2017 წლის 16 იანვრის #2/142 ბრძანება;<br>• სკოლის შინაგანაწესი;<br>• სკოლის ვებგვერდი;<br>• სოციალური ქსელი;<br>• სკოლის წარმომადგენელთან გასაუბრება;<br>• schoolbook-თან გაფორმებული ხელშეკრულება;<br>• მშობლებთან გასაუბრება;<br>• მასწავლებლებთან გასაუბრება;<br>• მოსწავლეებთან გასაუბრება; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს შპს საქართველოს სასწავლო ცენტრი ჯი-ელ-სის სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ 2021 წლის 2 სექტემბერს.<br>სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებისგან: ,,დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“. ამ ეტაპების გათვალისწინებით სკოლაში ინტენსიურად ხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი, გაკვეთილზე ურთიერთდასწრება. ხარისხის ჯგუფის მიერ შედგენილია ყველა საგნობრივი კათედრისთვის გაკვეთილზე დასწრების განრიგი, ასევე გაკვეთილის შეფასების რუბრიკები, კითხვარები მასწავლებლის რეფლექსიისთვის.<br>სწავლა/სწავლების ხარისხის მონიტორინგისა და გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება მშობელთა, მოსწავლეთა, პედაგოგთა გამოკითხვა შესაბამისი კითხვარების მეშვეობით და გაკვეთილების შეფასების ანალიზი. უკუკავშირი ხორციელდება ინდივიდუალურად ან საერთო შეხვედრაზე. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სასწავლო გეგმის შეფასებისთვის სკოლა მოქმედებს სწავლების ხარისხის დებულების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს შიდა და გარე შეფასებების მონაცემთა ანალიზს. შიდა შეფასებისას დგინდება შეესაბამება თუ არა მოსწავლის ცოდნის შეფასების სისტემა სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შეფასების მოდელს, რამდენად ეფექტიანად იყენებს მასწავლებელი ესგ-ითა და სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ კომპონენტებს. შიდა შეფასებისთვის მონიტორინგის ფორმებია: გაკვეთილზე დასწრება; შემაჯამებელი დავალებების ანალიზი; სემესტრული და წლიური შედეგების ანალიზი; გამოცდების შედეგების ანალიზი (პანდემიის გამო 2021-22 სასწავლო წელს გამოცდები არ იქნა დანიშნული).<br>გარე შეფასების მონაცემთა ანალიზისთვის ხარისხის სამსახური იყენებს სხვადასხვა აღიარებული ორგანიზაციების მიერ ინიცირებული საგანმანათლებლო პროექტებში ჩართულობის შედეგებს: ეროვნული გამოცდები; ეროვნული საგნობრივი ოლიმპიადები; გერმანულ ენაში კითხვის კონკურსებში ჩართულობა; ინგლისურ ენაში TOEFEL ტესტირება; გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირებები; საერთაშორისო კვლევებში მონაწილეობა და შედეგების გაანალიზება (მაგ: TIMSS(მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში), PIRLS (წიგნიერების საერთაშორისო კვლევა), ROSES(საბუნებისმეტყველო განათლების რელევანტურობა); თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული ვიქტორინა მეცნიერების თასზე; E-twining-პროექტებში ჩართულობა; სატელევიზიო პროექტ ,,წიგნების თარო“ -ში მონაწილეობა და სხვ.<br>სკოლის რესურსების სრულყოფილად წარმოჩენის, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრის მიზნით, სკოლის ხარისხის მართვის ჯგუფი უზრუნველყოფს ყოველწლიურად თვითშეფასების განხორციელებას, SWOT ანალიზს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმი;<br>• სასწავლო გეგმის განხორციელების შიდა მონიტორინგის პროგრამა;<br>• სწავლების ხარისხის სამსახურის დებულება; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • კათედრის სხდომის ოქმები;<br>• სკოლის სტრატეგიული განვითარების SWOT ანალიზი;<br>• ხარისხის სამსახურის ანგარიში;<br>• მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ბარათები;<br>• მშობელთა და მოსწავლეთა კითხვარები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | |
| რჩევები: | |
| ხარვეზები: | |
| სტანდარტის შეფასება | ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 2. მატერიალური რესურსი

| | |
|---|---|
| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | |
| ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: | |
| დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით: | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს საქართველოს სასწავლო ცენტრი ჯი-ელ-სი სასწავლო პროცესს ახორციელებს ორ მისამართზე:<br>1.თბილისში, ჯურხა ნადირაძის ქუჩა N46-ში მდებარე ოთხსართულიანი შენობის ნულ და მე-3 სართულებზე. საჯარო რეესტრის ამონაწერით: |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ნულოვანი სართულის ფართია-191,39კვ.მ (შენობა მდებარეობს ფერდობზე. სკოლის სარგებლობაში არსებული ფართი განთავსებულია შენობის ისეთ ნაწილში, სადაც ნულოვანი სართული ფაქტობრივად წარმოადგენს პირველი სართულს, სადაც არის სკოლაში შესასვლელი დერეფანი და განთავსებულია სკოლის ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სპორტული აქტივობებისთვის განკუთვნილი სივრცე, ბუფეტი.<br>III სართულის ფართია-743,69კვ.მ. (საკლასო ოთახები)<br>სულ -935.08კვ.მ.<br>2. ზუგდიდში, რუსთაველის ქუჩა N94-ში განთავსებული სამსართულიანი შენობის პირველ და მე-2 სართულებზე.<br>საჯარო რეესტრის ამონაწერით, I და II სართულების საერთო ფართია- 475.8კვ.მ, აქედან სკოლის სარგებლობაშია 400კვ.მ. შენობის აზომვითი ნახაზიდან ჩანს რომ, I სართულის მხოლოდ 22,3 კვ.მ-ია სკოლის სარგებლობაში, რომელიც წარმოადგენს სკოლაში შესასვლელ დერეფანს და სასაწყობე ოთახს სასკოლო ინვენტარისთვის. დანარჩენი ფართი რადიო ,,ათინათი“-ის საკუთრებაშია, რომელიც გამიჯნულია სკოლისგან და აქვს ცალკე შესასვლელი.<br>დაწესებულებასა და შენობის მფლობელებს შორის გაფორმებულია იჯარის ხელშეკრულებები:<br>თბილისში-18/12/2028 წლამდე. (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან-N 882022046336, 26/01/2022).<br>ზუგდიდში-31/12/2028 წლამდე.(ამონაწერი საჯარო რეესტრიდან -N 882022046484 - 20/01/2022 ) |
| *ფაქტობრივი მისამართი* | თბილისი, ჯურხა ნადირაძის ქუჩა N 46<br>ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩა N 94 |
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | თბილისი--01.14.04.029/060<br>ზუგდიდი- 43.36.01.088.01/504 |
| *კვ.მ.* | თბილისი-935.08კვ.მ<br>ზუგდიდი- 400კვ.მ |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | • ამონაწერები საჯარო რეესტრიდან: |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | თბილისი ს/კ 01.14.04.092/060 N882022046336-26/01/2022 18:45:15<br>ზუგდიდი ს/კ 43.36.01.088.01/504 N 882022046484 - 20/01/2022 12:43:02<br>• შენობის შიდა აზომვითი ნახაზებით<br>• იჯარის ხელშეკრულებებით:<br>თბილისი-20/01/2022<br>ზუგდიდი -21/01/2022 |
| შეფასება | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ზ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | თბილისში მდებარე სკოლაში არის 12 საკლასო ოთახი, გერმანულისა და ინგლისურის კაბინეტები, სამუშაო სივრცე მასწავლებლებისთვის, ადმინისტრაციის ოთახი, ექიმის კაბინეტი, სპორტის გაკვეთილების ოთახი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, ბიბლიოთეკა და ბუფეტი. ვიზიტის დროს საკლასო ოთახებში განთავსებული იყო 186 ერთადგილიანი მერხი სკამით, მასწავლებლის მაგიდები და სასკოლო დაფები.<br>ზუგდიდის სკოლაში 7 საკლასო ოთახია. სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია ერთ ოთახშია განთავსებული. ამავე ოთახშია განთავსებული სასწავლო მიზნებისთვის განსაზღვრული კომპიუტერებიც. სკოლას აქვს პროექტორით აღჭურვილი სააქტო დარბაზი. საკლასო ოთახებში განთავსებულია 64 ერთადგილიანი მერხი. პირველ სართულზე დასაწყობებულია 25 ინდივიდუალური მერხი.<br>ინვენტარის ფლობის დამადასტურებლად სკოლამ წარმოადგინა შესყიდვების დოკუმენტაცია, მერხების შესაკეთებლად გაფორმებული მომსახურეობის ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით სკოლას აქვს 520 ერთადგილიანი მერხი და სკამი. გარდა აღნიშნული ინვენტარისა საკლასო ოთახები აღჭურვილია პლაკატებით, რუკებით, ცხრილებით, და სხვადასხვა სახის სასწავლო თვალსაჩინოებებით. ყველა საკლასო ოთახში გამოკრულია ამონარიდი სკოლის შინაგანაწესიდან მოსწავლის უფლება -მოვალეობების შესახებ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით<br>• ინვენტარის შეძენის დოკუმენტაციით<br>• ხელშეკრულება ინდივიდუალური მერხების შეკეთებაზე |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | თბილისის სკოლაში სპორტის გაკვეთილები ტარდება შენობის პირველ სართულზე არსებულ 63კვ.მ ფართის მაღალჭერიან ოთახში, სადაც დგას ტენისის მაგიდა, ტანვარჯიშის სკამი და კედელზე განთავსებულია შვედური კიბე. აღსანიშნავია, რომ სკოლის შენობაში არსებული ლიფტის კორპუსის გარკვეული ნაწილი მოქცეული სპორტის გაკვეთილებისთვის განკუთვნილ ოთახში. ლიფტის კორპუსი ჩასმულია გიფსო-კარდონის ყუთში. სკოლის დირექტორმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ უსაფრთხოების ზომების მეტად დაცულობის მიზნით, უზრუნველყოფს რკინის კონსტრუქციით გამიჯნოს ლიფტის კორპუსი სპორტის ოთახისგან.<br>ზუგდიდის სკოლამ წარმოადგინა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ ,,ოდიში 1919“-თან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (2022 წლის 25 იანვრიდან 2029 წლის 25 იანვრის ჩათვლით), სასკოლო გეგმის მიხედვით სპორტის გაკვეთილების ჩატარების თაობაზე შეთანხმებული განრიგის მიხედვით. მემორანდუმს თან ერთვის სპორტული გაკვეთილების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ცხრილი კლასების მიხედვით და სკოლის მიერ საფეხბურთო მოედნის გამოყენების ხანგრძლივობა დღეების მიხედვით.<br>სპორტული ინვენტარის ფლობის დამადასტურებლად სკოლამ წარმოადგინა ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია. სკოლას აქვს შემდეგი სპორტული ინვენტარი: ტანვარჯიშის სკამი-3 ცალი, შვედური კედელი-4 ცალი, ბაგირი-2 ცალი, ფეხბურთის ბურთები და კარის ბადე, მაგიდის ტენისის ბადე, სახტუნაო, წამზომი და სხვა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით<br>• შენობის აზომვითი ნახაზით<br>• ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით<br>• სასაქონლო ზედნადებებით |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შეძენილი აქვს ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიების აღჭურვილობის ორი კომპლექტი (208 დასახელება) თბილისისა და ზუგდიდის სკოლებისთვის. საბუნებისმეტყველო ლაბორატორია შესაბამისობაშია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ N572 ბრძანებით განსაზღვრულ ჩამონათვალთან.<br>თბილისის სკოლაში საბუნებისმეტყველო ლაბორატორია განთავსებულია შენობის პირველ სართულზე, ლაბორატორიის აღჭურვილობა განთავსებულია კარადებში, გამოკრულია მრავალფეროვანი მიზნობრივი თვალსაჩინოებები. ლაბორატორიას აქვს ფანჯრები, სველი წერტილი ლაბორატორიაში არ არის. საბუნებისმეტყველო საგნების თემატური გეგმებიდან ჩანს, რომ პედაგოგები აქტიურად იყენებენ ციფრულ რესურსებს საგაკვეთილო |

| | |
|---|---|
| | პროცესში.<br>ზუგდიდში, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია განთავსებულია ოთახში, სადაც ასევე ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა და სამასწავლებლო ლაბორატორიის კუთხეში დამონტაჟებულია სველი წერტილი. ლაბორატორიის აღჭურვილობა განთავსებულია კარადებში. ზუგდიდის სკოლის პედაგოგებმა ინტერვიურების დროს აღნიშნეს, გაკვეთილზე ძირითადად ინტერნეტ რესურსებს იყენებენ და საჭიროების შემთხვევაში ლაბორატორიიდან გააქვთ საჭირო აღჭურვილობა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით<br>• შპს ინსტა ჯორჯიასთან გაფორმებული ხელშეკრულებებით- 21.03. 2011 და 07.06.2016<br>• მიღება-ჩაბარების აქტებით : 19.05. 2011 და 27.06.2016<br>• პედაგოგებთან გასაუბრებით<br>• საბუნებისმეტყველო საგნების თემატური გეგმებით |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. დაწესებულება როგორც თბილისის მისამართზე, ასევე ზუგდიდში წარმოადგენს ელექტროენერგიის დამოუკიდებელ აბონენტს. ელექტროენერგია და წყალი სკოლას მიეწოდება უწყვეტად რაც დასტურდება კომუნალური გადასახადების გადახდის დოკუმენტაციით. თბილისის სკოლაში მე-3 სართულზე დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა. პირველი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სართულის გათბობა ხდება ელექტრო ღუმელებით. ზუგდიდის სკოლის ონლაინ დათვალიერებით დგინდება, რომ ორ ოთახში დამონტაჟებულია ელექტრო ღუმელები. ინვენტარიზაციის დოკუმენტების თანახმად სკოლა კიდევ აქვს 8 ელექტრო ღუმელი და ალტერნატიული დენის წყარო გენერატორი.<br>სკოლაში არის სველი წერტილები. თბილისის სკოლაში პირველ სართულზე განთავსებულია სველი წერტილი სსსმ პირისთვის, ხოლო მესამე სართულზე ბიჭების, გოგონების (3-3 განყოფილებით) და თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოწესრიგებულია და დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.<br>ზუგდიდის სკოლის ონლაინ დათვალიერებით ჩანს, რომ შენობის მეორე სართულზე არის სველი წერტილები ბიჭებისა და გოგონებისთვის. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით<br>• კომუნალური გადასახადის გადახდის დოკუმენტაციით<br>• სკოლის განაცხადი დამოუკიდებელ აბონენტად ცნობაზე<br>• დამოუკიდებელ აბონენტად ცნობის დოკუმენტაციით<br>• ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი ხელშეკრულებით |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | თბილისის სკოლაში ბიბლიოთეკა განთავსებულია პირველ სართულზე. მოქმედებს წიგნადი ფონდის როგორც ელექტრონული აღრიცხვა ასევე ბეჭდური. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება. გამოკრულია ბიბლიოთეკაში ქცევისა და წიგნით სარგებლობის წესები. ასევე ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი. ბიბლიოთეკაში დგას 3 კომპიუტერი, წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და აღრიცხულია საინვენტარო წიგნში (4828 წიგნი) მოქმედებს |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მკითხველის ბარათები. ბიბლიოთეკაში არის სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები.<br>ზუგდიდის სკოლაში ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილია კუთხე სამასწავლებლოში. წიგნები განთავსებულია თაროზე თემატურად, მათ შორის სასკოლო სახელმძღვანელოებიც. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ონლაინ გადამოწმდა წიგნების საბიბლიოთეკო წესით დამუშავება და გრიფირებული სახელმძღვანელოები. ვიზიტის დროს ბიბლიოთეკაში არ იყო ქიმიის გრიფირებული სახელმძღვანელო, თუმცა აღნიშნული სახელმძღვანელო ვნახეთ თბილისის ბიბლიოთეკაში. სკოლის დირექტორის განმარტებით, ყველა გრიფირებული სახელმძღვანელოს შეძენილია, როგორც თბილისის ასევე ზუგდიდის სკოლისთვის. ზუგდიდის სკოლის საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს 1658 ერთეულ წიგნს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით<br>• ბიბლიოთეკის დებულებით<br>• ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნით<br>• საბიბლიოთეკო პროგრამა ,,OpenBiblio"-ს შეყიდვის ხელშეკრულებით 2011-4/9 |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა იზიარებს ინკლუზიური განათლების პრინციპებს, ცდილობს შექმნას სათანადო პირობები სსსმ პირისთვის.<br>როგორც თბილისის ასევე ზუგდიდის სკოლისთვის დამზადებულია პანდუსები. ორივე მისამართზე არის სველი წერტილები სსსმ პირისთვის. ვიზიტის დროს, ზუგდიდის სკოლის სსსმ პირისთვის განკუთვნილ სველ წერტილში არ იყო დამონტაჟებული საყრდენი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მოაჯირი. სკოლამ ვიზიტის განმავლობაში გამოასწორა ხარვეზი, რაც დასტურდება წარმოდგენილი ფოტო მასალით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება<br>• ადაპტირებული სველი წერტილის ფოტო მასალა |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | თბილისის სკოლაში კომპიუტერული კლასი განთავსებულია სპორტული გაკვეთილებისთვის განკუთვნილ ოთახში. კომპიუტერების კლასი და სპორტის გაკვეთილების სივრცე ერთმანეთისგან გამიჯნულია გიფსოკარდონში ჩასმული ლიფტის კორპუსის კედლით. დირექტორის განმარტებით კომპიუტერული კლასი განთავსებული იყო მე-3 სართულზე და უზრუნველყოფენ პირვანდელ ადგილზე დაბრუნებას. ზუგდიდის სკოლაში კომპიუტერები განთავსებულია ოთახში, სადაც აგრეთვე ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. (38.5 კვ,მ). თბილისის სკოლას აქვს 17 კომპიუტერი, ხოლო ზუგდიდს- 5.<br>სკოლას აქვს ვებგვერდი http://www.glcschool.ge/, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, სასწავლო გეგმა, სკოლის უსაფრთხოების დებულება, სწავლა უცხოეთში, ევროპული ენების სკოლა, შემეცნება-გართობა, მოსწავლეთა შემოქმედება, თვითმართველობის მიერ განხორციელებული აქტივობები, გალერეა და კონტაქტი. ვებგვერდზე ჩაშენებულია ელექტრონული ჟურნალი და ბიბლიოთეკის ბლოკიც, შესაძლებელია სკოლის სოციალურ ქსელის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დათვალიერებაც. ვებგვერდის დათვალიერებამ გვიჩვენა, რომ სკოლა ფეისბუქგვერდზე უფრო აქტიურად ანახლებს ინფორმაციას ვიდრე ვებ-გვერდზე.<br>სკოლას ინტერნეტმომსახურებას უწევს შპს ,,მაგთიკომი“, დომეინის და ჰოსტინგის ხელშეკრულება გაფორმებულია შპს ,,სერვ.ჯი“-სთან. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვებ-გვერდი: http://www.glcschool.ge/<br>• შესყიდვის დოკუმენტაციით<br>• ხელშეკრულებით შპს ,, მაგთიკომთან“ 28/09/20<br>• ხელშეკრულებით შპს ,, ,სერვ.ჯი“-სთან<br>• გადახდის ქვითრებით |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
|---|---|
| **ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის დებულება/ზოგადი ინსტრუქციები, სადაც გაწერილია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები. განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებაზე როგორც თბილისში, ასევე ზუგდიდში. ვალდებულებები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის N261 ბრძანებით 2019 წლის 3 ოქტომბერი.<br>ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მიზნით სკოლას შეძენილი აქვს: თბილისის სკოლისთვის 6 ცეცხლმაქრი, ხოლო ზუგდიდის სკოლისთვის-3. ცეცხლმაქრები გადამუხტულია და ვარგისია ექსპლოატაციისთვის, რაზეც არსებობს სამუშაოს შესრულების აქტი 25/11/21. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • სკოლის შინაგანაწესით<br>• უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის დებულება/ზოგადი ინსტრუქციებით<br>• შესრულების სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტით |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის დერეფნებში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, საგანგებო სიტუაციების სამსახური ტელეფონის ნომრები. არსებობს თავისუფალი საევაკუაციო გასასვლელი სართულის დერეფნებიდან. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით<br>• მომსახურეობის ხელშეკრულება საევაკუაციო გეგმების დამზადებაზე 29/08/2019 |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სამედიცინო დახმარების მიზნით თბილისის სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც განთავსებულია მე-3 სართულზე. ექიმის კაბინეტი აღჭურვილია სამედიცინო კაბინეტისთვის საჭირო ინვენტარით. ზუგდიდს სკოლაში არის სამედიცინო კუთხე, რომელიც განთავსებულია სამასწავლებლოში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება No41/ნ/01-23/ნ -ით დამტკიცებული საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის მე-3 მუხლის თანახმად სამედიცინო კაბინეტი რეკომენდებულია მოწყობილი იყოს შენობის ყველაზე დაბალ სართულზე. სკოლამ აღნიშნული წესის შესაბამისობის მიზნით უნდა უზრუნველყოს სამედიცინო კაბინეტის პირველ სართულზე განთავსება. რაც შეეხება ზუგდიდის სკოლას, ამავე |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | წესის მე-2 მუხლის თანახმად, სკოლებში, სადაც სწავლობს 50-ზე მეტი მოსწავლე, სავალდებულოა სამედიცინო კაბინეტის მოწყობა.<br>ორივე სკოლას ჰყავს ექიმი. შემუშავებულია ექიმის დებულება, სადაც გაწერილია ექიმის/ექთანის უფლება მოვალეობები, სამედიცინო ოთახის/ კუთხის მოწყობის წესები, ახალი კორონა(COVID-19) ვირუსით გამოწვეულ ინფექციასთან დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციების გასატარებელი ღონისძიებები და წესები.<br>სასკოლო გეგმით, სკოლაში ტარდება ექიმის საუბრები პირადი ჰიგიენის და ცხოვრების ჯანმრთელი წესების შესახებ. ვირუსული ინფექციების გამოწვევებზე და პრევენციულ ღონისძიებებზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით<br>• ექიმის დებულებით<br>• ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულებით<br>• სასკოლო გეგმით |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს წესრიგის დაცვის მექანიზმები, კერძოდ თბილისის და ზუგდიდის სკოლებს ჰყავთ დარაჯი. თბილისის სკოლაში კიბეების მოაჯირებზე დამაგრებულია დამცავი ბადეები. ასევე დაცულია კიბის უჯრედის ფანჯარაც დამცავი ბადით. სკოლას შემუშავებული აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების" შესაბამისად უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის დებულება/ზოგადი ინსტრუქციებით.<br>სკოლაში ასევე წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ მორიგე მასწავლებლები და უსაფრთხო სკოლის მენეჯერი. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით<br>• „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის დებულება/ზოგადი ინსტრუქციებით.<br>• საშტატო განრიგით |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | თბილისის სკოლის შენობის შიდა და გარე პერიმეტრს აკონტროლებს 9 ვიდეოკამერა, რომლის დათვალიერებაც ხდება ბიბლიოთეკაში განთავსებული მონიტორებით. გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ორი ვიდეოთვალი სრულად ვერ უზრუნველყოფდა სკოლის მთელი გარე პერიმეტრის დათვალიერებას. სკოლის ადმინისტრაციამ გამოთქვა მზადყოფნა დამატებითი კამერის დაყენების თაობაზე.<br>ზუგდიდის სკოლაში გარე პერიმეტრის დათვალიერება ხდება ორი კამერით, ხოლო შიდა პერიმეტრს აკონტროლებს 3 ვიდეოთვალი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით<br>• კამერების შესყიდვის დოკუმენტაციით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
| --- | --- |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ზოგადი დებულებების შესახებ; სამუშაო კვირის ხანგრძლივობის, სამუშაო და დასვენების დროს შესახებ; სკოლის სტრუქტურის შესახებ; დოკუმენტში აღწერილია: სკოლაში დასაქმებულ პირთა ფუნქცია-მოვალეობები; ასევე ადმინისტრაციისა და სამეურნეო ჯგუფის ვალდებულებები. მოსწავლის/მშობლის ვალდებულებები და სკოლაში ქცევის სტანდარტები: მოსწავლის მიღების, მათი უფლებები და ქცევის წესები; წახალისების ფორმები. დოკუმენტში განმარტებულია სკოლაში საქმის წარმოების წესი; სკოლის უსაფრთხოების ზოგადი პრინციპები, სკოლაში მოსწავლეთა და თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისა და პირველადი სამედიცინო დახმარების რეგულირების წესი; სკოლის ტერიტორიაზე ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება; სასკოლო დისციპლინა და სკოლის დისციპლინური კომიტეტი; სასკოლო დისციპლინის პრინციპები, მოსწავლე/მასწავლებლის დისციპლინური გადაცდომის აღწერილობა, დისციპლინური კომიტეტის საქმის წარმოება, სახდელის მოქმედების პერიოდი და ხანდაზმულობა. შინაგანაწესი მოიცავს ინფორმაციას სკოლაში თანამშრომელთა სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურებისა და გათავისუფლების წესს. შინაგანაწესით განსაზღვრულია სამუშაო და დასვენების დრო, მივლინება, შვებულება, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები და გათავისუფლების პროცედურა.<br><br>სკოლას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის რეგულირების წესი, რომელშიც ასახულია: სკოლის აკადემიური კალენდარი, სამუშაო დრო; სკოლის სტრუქტურული ერთეულები; სასწავლო პროცესის მართვის მექანიზმები, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ინფორმაციას სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების მექანიზმებს; ინფორმაციას სწავლების ფორმების შესახებ; მოსწავლეთა შეფასების ფორმებს; სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების მონიტორინგის პროცედურას და ასევე სასწავლო აღმზრდელობით პროცესში ჩართული სტრუქტურული ერთეულებისა და თანამშრომელთა თანამდებობრივ ვალდებულებებს. აღნიშნულ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დოკუმენტში უსაფრთხო სკოლის მენეჯერის ვალდებულებაში გაწერილია სამასწავლებლოდან ჟურნალის გატანა-დაბრუნების კონტროლი. თუმცა ინტერვიურების დროს სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლა სარგებლობს ელექტრონული ჟურნალით, შესაბამისად ეს აღწერილობა ტექნიკური შეცდომა იყო. რისთვისაც დაწესებულებას მიეცა რჩევა დოკუმენტის შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია მასწავლებლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები, მშობელთან ურთიერთობა და მათი პედაგოგიზაცია; სკოლის ქონება და ფინანსები.<br><br>სკოლას შემუშავებული აქვს დებულება საგანგებო სიტუაციების პერიოდში ინფორმაციის გავრცელების შესახებ. აღნიშნული დებულების მიხედვით, განსაზღვრულია ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელი პირები; დადგენილია ინფორმაციის გავრცელების არხები;<br><br>სკოლას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა, რომელიც განმარტავს რისკებს, ასევე კონტროლის მექანიზმებს. გეგმის მიხედვით გაწერილია შპს საქართველოს სასწავლო ცენტრი ჯი-ელ-სის თანამშრომელთა დეტალური სამოქმედო ინსტრუქცია ახალი კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციების შესაბამისად.<br><br>სკოლაში უსაფრთხოებას და წესრიგს არეგულირებს დოკუმენტი - უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის დებულება/ინსტრუქციის შესახებ, რომელშიც აღწერილია: უსაფრთხოების ზომები და განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებები სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მთელი სასკოლო საზოგადოებისათვის; ასევე განსაზღვრულია უსაფრთხოების ზომები საგანგებო სიტუაციების დროს; საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის რისკის შემცველი გადამდები დაავადებების შემთხვევის გამოვლენისას რეაგირების მექანიზმები; სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევების დროს განსახორციელებელი ღონისძიებები. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლამ წარმოადგინა წესდება, რომელიც იძლევა დეტალურ ინფორმაციას სკოლის იურიდიული სტატუსის შესახებ; საზოგადოების საქმიანობის მიზნების შესახებ, საზოგადოების საწესდებო კაპიტალის, პარტნიორებისა და მათი წილების შესახებ; წილის განკარგვის შესახებ; წესდების მიხედვით გაწერილია პარტნიორთა ვალდებულებები; აღწერილია პარტნიორთა კრების, როგორც საზოგადოების მმართველი ორგანოს ფუნქცია-მოვალეობები; საზოგადოების რეორგანიზაციის და საქმიანობის შეწყვეტის მექანიზმები.<br><br>წარმოდგენილი დოკუმენტების შინაარსი შეესაბამება კანონმდებლობას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის შინაგანაწესი;<br>• სკოლის წესდება;<br>• სასწავლო პროცესის რეგულირების წესი. დამტკიცებულია პედ.საბჭოს მიერ ოქმი #1 .02 სექტემბერი 2021წ.<br>• შპს საქართველოს სასწავლო ცენტრი ჯი-ელ-სის დებულება საგანგებო სიტუაციის პერიოდში ინფორმაციის გავრცელების დამტკიცების შესახებ დირექტორის ბრძანებით #2/317, 19 ოქტომბერი 2020წ.<br>• შპს საქართველოს სასწავლო ცენტრი ჯი-ელ-სის საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ 1ოქტომბრის 2021წ. დირექტორის #2/317 ბრძანება;<br>• შპს საქართველოს სასწავლო ცენტრი ჯი-ელ-სის სკოლის უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის დებულება/ინსტრუქციის დამტკიცების შესახება დირექტორის 2019 წლის 3 ოქტომბრის #2/261 ბრძანება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო და ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმები.<br>სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია დაწესებულების პარტნიორთა კრების მიერ. (ოქმი 11). მოიცავს 2021-2027 წლებს და განსაზღვრავს ამ წლებში სტრატეგიულ მიზნებს, რომლებიც სამი მიმართულებით იშლება:<br>1.სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და უსაფრთხო სკოლის უზრუნველყოფა<br>2.სწავლების ხარისხის უწყვეტი ზრდა<br>3.სკოლის ავტორიტეტის მუდმივი ზრდა და საზოგადოებასთან ურთიერთობის გაღრმავება.<br>სკოლისთვის მთავარი გამოწვევაა საკუთარი შენობის შეძენა, დირექტორთან გასაუბრებით, გამოიკვეთა, რომ სკოლა მუშაობს ამ მიმართულებით, შემუშავებულია პროექტი ,,ახალი სკოლის კონცეფცია“, რომლის ფარგლებში შეიქმნა შენობის პროექტი. სკოლის პროექტირება მთლიანად ითვალისწინებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური რესურსის სტანდარტს და უსაფრთხო სკოლის კონცეფციას,<br>ამასთანავე, პროექტირება ითვალისწინებს სპეციფიურ მოთხოვნებს, რაც გასათვალისწინებელია უცხოური ენების გაღრმავებული სკოლისა და მცირერიცხოვანი კლასების პირობებში.<br>სკოლის სამოქმედო გეგმა მოიცავს 2021-2022წლებს, დამტკიცებულია პარტნიორთა კრების მიერ(ოქმი-17 30/07/21)<br>სამოქმედო გეგმაში გაწერილია ერთი წლის მანძილზე დაგეგმილი აქტივობები, განსაზღვრულია ვადები და პასუხისმგებელი პირები. მატერიალური რესურსების განვითარების მიზნით დაგეგმილია მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, სასკოლო ინვენტარის განახლება და სკოლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ექვსწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებით;<br>• სტრატეგიული მიზნებით; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • 2017-2021 SWOT ანალიზით(შუალედური ანალიზი)<br>• ახალი სკოლის კონცეფცია<br>• განვითარების კონცეფცია-რეორგანიზაციის პროექტი |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა, რომელიც ხორციელდება სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ,,საქმისწარმოების წესის“ (ბრძანება N2/222, 28/12/2018 ) შესაბამისად. კორესპონდენციების მოძრაობაზე და სათანადო დოკუმენტაციის წარმოებაზე, ასევე არქივის დაცვაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის დირექტორის მოადგილე კადრების დარგში.<br>საქმისწარმოების წესით განსაზღვრულია: შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვისა, რეგისტრაციის, განხილვის, პასუხის მომზადების და გაგზავნის წესები. ბრძანებების რეგისტრაციის და აღრიცხვის, არქივის წარმოება და დაცვის წესები. მოსწავლეთა პირადი საქმეებისა და ელექტრონული ჟურნალის წარმოება.<br>სკოლაში მოქმედებს საქმისწარმოების შემდეგი ჟურნალები: შემოსული კორესპონდნეციისა და გასული კორესპონდენციის რეგისტრაცია, ხელშეკრულებების რეგისტრაცია, კადრების აღრიცხვა, მოსწავლეთა მოძრაობის რეესტრი, ანბანური წიგნი. ჟურნალები გაფორმებულია საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად, ზონარგაყრილია, დანომრილია გვერდები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საქმისწარმოების წესით<br>• საქმისწარმოების ჟურნალებით |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| რჩევები: | • სკოლა სარგებლობს ელექტრონული ჟურნალით, შესაბამისად სასწავლო პროცესის რეგულირების წესში აღწერილი უსაფრთხო სკოლის მენეჯერის ვალდებულებაში ვერ იქნება გათვალისწინებული სამასწავლებლოდან ჟურნალის შეტანა-გამოტანის მონიტორინგი. მიზანშეწონილია ტექსტის აღნიშნული პუნქტის დაკორექტირება. |
| ხარვეზები: | |
| სტანდარტის შეფასება | ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალი„ზი | სასკოლო სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის, საშტატო განრიგის მიხედვით, დაწესებულებას ჰყავს 66 თანამშრომელი (42-თბილისის სკოლა, 24 ზუგდიდის სკოლა) მათ შორის 52 პედაგოგია (თბილისში -31, ზუგდიდში-21). ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალს წარმოადგენს: ზუგდიდში-ექიმი, სასწავლო პროცესის კოორდინატორი, რომელიც ამავდორულად არის მასწავლებელიც, დამლაგებელი. თბილისში-დირექტორი, აკადემიური დირექტორი, დირექტორის მოადგილე კადრებში, ინფომენეჯერი, ექიმი, ფსიქოლოგი, რომელიც აგრეთვე არის საგზაო ნიშნებისა და მოძრაობის უსაფრთხოების მასწავლებელი, მასწავლებლის ასისტენტი, ვახტიორი, დამლაგებელი და მზარეული. თბილისში სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ტრანსპორტირებას, რისთვისაც ხელშეკრულება გაფორმებულია 2 მძღოლთან.<br>სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 52 პედაგოგთან, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საათობრივი ბადის სრულად დატვირთვას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ხელშეკრულებები და პირადი საქმეები; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • eSchool-ის ბაზა;<br>• სკოლის შინაგანაწესი;<br>• 2021-2022 წლის საათობრივი ბადე;<br>• საშტატო განრიგი;<br>• სკოლის წარმომადგენელთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 52 |
| მოწვეული/მაძიებელი | 0/1 |
| პრაქტიკოსი მასწავლებლი | 0/12 უსტატუსო მასწავლებელი |
| უფროსი მასწავლებლი | 24(თბილისი-17, ზუგდიდი-7) |
| წამყვანი მასწავლებლი | 14 (თბილისი -5, ზუგდიდი -9) |
| მენტორის სტატუსი | 1(ზუგდიდი) |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | წარმოდგენილ მასწავლებელთა პირად საქმეებში დევს დოკუმენტაცია მათი კვალიფიკაციისა და/ან მინიჭებული სტატუსების შესახებ. აგრეთვე ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის“.<br>აღნიშნული პირადი საქმეებისა და სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების გადამოწმების მიხედვით სკოლას ჰყავს სხვადასხვა სტატუსის მასწავლებლები. 24 უფროსი, 14 წამყვანი, 1 მენტორი, 1 მაძიებელი და 12 უსტატუსო მასწავლებელი. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ვიზიტის პერიოდში (11-13 აპრილი 2022წ) სკოლამ წარმოადგინა მასწავლებლის შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრიდან ამონაწერი 5 მასწავლებლის საგნობრივ გამოცდაზე რეგისტრაციის შესახებ. აღნიშნულ მასწავლებლებს დიპლომით მინიჭებული აქვთ მასწავლებლობის უფლება და ამავდროულად დარეგისტრირებული არიან საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელ გამოცდაზე. სკოლამ ასევე წარმოადგინა შესაბამის რაიონულ რესურსცენტრში გაგზავნილი წერილი განათლების მართვის ელექტრონული სისტემის სკოლის ბაზაში გერმანული ენის მასწავლებლის სტატუსის ასახვასთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზის შესახებ. რამდენადაც მასწავლებელს 2015 წელს ჩაბარებული აქვს საგნობრივი გამოცდა და დიპლომის მიხედვით - ფილოლოგიისა და გერმანული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაცია, ხარისხი: მაგისტრთან გათანაბრებული-თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომი. აღნიშნულიდან გამომდინარე, გერმანულის მასწავლებელს ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრის შედეგად მიენიჭება უფროსი მასწავლებლის სტატუსი.<br>აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში DSD- პროგრამის ხელმძღვანელი არ არის მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში ჩართული და არ აქვს სტატუსი მინიჭებული. თუმცა იგი პარალელურად არის გოეთეს ინსტიტუტის პედაგოგი და აგრეთვე ტუტორი, ტრენერი ამიერკავკასიის ოლქში, მინიჭებული აქვს საერთაშორისო სერთიფიცირებული გამომცდელის სტატუსი გერმანული ენის ცოდნის ყველა დონეზე A1, A2, B1, B2, C1, C2. შესაბამისად, გერმანული პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენცია და კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია იმ პროგრამის მოთხოვნებთან, რომელსაც სკოლა საქართველოს განათლების სამინისტროსა და გერმანიის შესაბამისი უწყების თანხმობით წარმატებით ახორციელებს უკვე 2014 წლიდან.<br>ასევე გერმანული ენის ერთ მასწავლებლებს არ ჰქონდათ სტატუსი, თუმცა დიპლომის მიხედვით აქვს გერმანული და ინგლისური ენების ბაკალავრის ხარისხი. უცხო ენათა ფილოლოგიის ფაკულტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასევე ჰაიდელბერგის ენების აკადემიის German / Intensive Course B2 - სერტიფიკატი.<br>ჭადრაკის 2 მასწავლებელს ჰქონდა ჭადრაკის მწრთვნელად მუშაობის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | უფლების დამადასტურებელი სერტიფიკატები.<br>თბილისის სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია საგზაო ნიშნებისა და უსაფრთხოების მასწავლებელთან დაკავშირებით, რომლითაც დასტურდება, რომ მასწავლებელს, რომელიც ამავდროულად სკოლაში დასაქმებული იყო ფსიქოლოგად, გავლილი ჰქონდა საგზაო ნიშნებისა და მოძრაობის უსაფრთხოების წესების შემსწავლელი კურსები.<br>ზუგდიდში მუსიკის მასწავლებელი, რომელიც ამავდროულად იყო სკოლის უსაფრთხო მენეჯერის პოზიციაზე, დიპლომით მინიჭებული აქვს დაწყებითი სწავლების მასწავლებლის კვალიფიკაცია, თუმცა ზუგდიდში მე-7-9 კლასებში ასწავლიდა მუსიკას, ხელოვნებას. ეს მასწავლებელი არ არის საგნობრივ გამოცდაზე დარეგისტრირებულ პედაგოგთა შორის, რომელიც სკოლამ წარმოადგინა. შესაბამისად აღნიშნული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ არის შესაბამისობაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს ბრძანების №174/ნ-ით განსაზღვრულ კანდიდატისადმი დადგენილ სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.<br>შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ მასწავლებლების უმრავლესობა ჩართული არიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში და აქვთ შესაბამისი სტატუსები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მასწავლებელთა პირადი საქმეები;<br>• ხელშეკრულებები;<br>• სასკოლო სასწავლო გეგმა.<br>• საშტატო განრიგი;<br>• eSchool-ის ბაზა;<br>• სკოლის წარმომადგენელთან გასაუბრება;<br>• მასწავლებლების შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრიდან ამონაწერი მასწავლებლის საგნისა და პროფესიული უნარების გამოცდაზე რეგისტრაციის შესახებ;<br>• შპს საქართველოს სასწავლო ცენტრი ჯი-ელ-სის დირექტორის წერილი #1/07 , 12 აპრილი 2022წ; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი სკოლისთვის გერმანული ენის გაძლიერებული სწავლების უფლების შესახებ #575385, 03.12.2013წ. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შინაგანაწესის მიხედვით გაწერილია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები;<br>შინაგანაწესი განსაზღვრავს სკოლაში სამუშაოზე მიღების წესს; სამსახურში წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას; შრომითი ანაზღაურების, პრემიის, ფულადი დახმარების ფორმებს; დოკუმენტი განსაზღვრავს ასევე სამუშაო და დასვენების დროს, მივლინების, შვებულების, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის პირობებს; ასევე გათავისუფლების პროცედურას.<br>შინაგანაწესით განსაზღვრულ მიღების პროცედურებს აკონკრეტებს შპს საქართველოს სასწავლო ცენტრი ჯი-ელ-სის მასწავლებლთა შერჩევის და მიღების წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ 14.07.2020 წ. #2/285 ბრძანებით. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი ვაკანტურ ადგილზე კონკურსის გამოცხადების მექანიზმები; კონკურის ეტაპები; კონკურსანტთა განცხადების განხილვის ინსტრუმენტები; გასაუბრების ფორმა და შინაარსი; კანდიდატთა შეფასების სისტემა და კრიტერიუმები; კონკურსანტების შერჩევის მექანიზმი; თანამშრომლის მიღების შემთხვევაში სკოლის მიერ განსაზღვრულია დაწესებულების ვალდებულება და ასევე ახალი თანამშრომლის მიერ სკოლისთვის წარსადგენი საბუთების ნუსხა.<br>სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებლის/თანამშრომლის მორალური და მატერიალური წახალისების წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ 22.12.2018წ. ბრძანებით #2/222, & 2. დოკუმენტის შინაარსი ასახულია: ზოგადი დებულებები; კრიტერიუმები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მასწავლებელი; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მასწავლებლის წახალისების ფორმები; შეფასების ინსტრუმენტები. დოკუმენტი ხელმისაწვდომია თანამშრომლებისთვის და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის.<br>სასწავლო პროცესის რეგულირების წესით განსაზღვრულია მასწავლებელთა მატერიალური და მორალური წახალისების ფორმები:<br>• სკოლა ითვალისწინებს მასწავლებელთა წახალისების შემდეგ ფორმებს: ბრძანებით მადლობის გამოცხადება, ერთი თვის ხელფასით პრემირება, ექსკურსიით ან ტურისტული მოგზაურობით დასაჩუქრება.<br>• სკოლაში იმ მასწავლებელთა შვილები, რომელთა მუშაობის სტაჟი ამ სკოლაში 3 წელია, სარგებლობენ სწავლების გადასახადის 50%-იანი შეღავათით.<br>• მასწავლებელი ჯილდოვდება დირექციის გადაწყვეტილებით სასწავლო წლის შედეგების მიხედვით ნაყოფიერი მუშაობისათვის შედეგად მაღალი აკადემიური მიღწევებისათვის, კონკრეტული ღონისძიების ჩატარებისათვის, სასკოლო ინიციატივებისათვის.<br>სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა /თანამშრომელთა ეთიკის კოდექსი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით #1/164, 09.08. 2017წ. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს თანამშრომელთა თანამდებობრივ ვალდებულებებს; დასაქმებულის დისციპლინარული გადაცდომის ფორმებს და დისციპლინარულ სახდელებს. ტექსტების შინაარსი აღწერითია და დაკონკრეტებულია თითოეული შემთხვევა, რეაგირების ფორმები და ვადები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის შინაგანაწესი;<br>• მასწავლებელთა შერჩევისა და მიღების წესი, დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით #2/285, 14.07.2020წ.<br>• ხელშეკრულებები;<br>• შპს საქართველოს სასწავლოს ცენტრი ჯი-ელ-სის სასკოლო სასწავლო გეგმის დანართი#2, ოქმი #1, 02.09.2021წ;<br>• შპს საქართველოს სასწავლოს ცენტრი ჯი-ელ-სის სასწავლო პროცესის რეგულირების წესი, დამტკიცებული პედსაბჭოს მიერ ოქმი #1, 02.09.2021წ; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • შპს საქართველოს სასწავლოს ცენტრი ჯი-ელ-სის მასწავლებელთა /თანამშრომელთა ეთიკის კოდექსი, დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით #1/164, 09.08. 2017წ.<br>• შპს საქართველოს სასწავლო ცენტრი ჯი-ელ-სის მასწავლებლის/თანამშრომლის მორალური და მატერიალური წახალისების წესი დამტკიცებული დირექტორის მიერ 22.12.2018წ. ბრძანებით #2/222, &2.<br>• სკოლის წარმომადგენელთან გასაუბრება;<br>• გასაუბრება მასწავლებლებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება.<br>ხელშეკრულების შინაარსს წარმოადგენს: ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები, შვებულების მიცემის წესი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, შრომის ანაზღაურების ოდენობა და შრომის ანაზღაურების პირობები, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლობის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა.<br>მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია სტატუსის მითითებითა და სტატუსის შესაბამისი ფუნქციების აღწერით.<br>შპს საქართველოს სასწავლოს ცენტრი ჯი-ელ-სის შინაგანაწესის მიხედვით (მუხლი 8.1) ყველა პერსონალთან ხელშეკრულება გაფორმებულია ერთი სასწავლო ვადით. |

| | |
|---|---|
| | ყველას პირადი საქმე მოწესრიგებულია და თან ახლავს ავტობიოგრაფია (cv), პირადობისა და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების, სერტიფიკატების ასლები, ცნობები ნასამართლეობის შესახებ; |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>• შპს საქართველოს სასწავლოს ცენტრი ჯი-ელ-სის სკოლის შინაგანაწესი;<br>• პირადი საქმეები;<br>• ინტერვიურება; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა ჩართულია მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში და აწარმოებს შესაბამის დოკუმენტაციას. ,,მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 მაისის #241 დადგენილების საფუძველზე, „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით გათვალისწინებული პროცესების ეფექტურად განხორციელების მიზნით სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის საქმიანობა ხორციელდება სწავლების ხარისხის სამსახურის დებულების მიხედვით. სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა შეფასების ჯგუფის დებულება, რომლითაც განისაზღვრება მასწავლებელთა შეფასების ჯგუფის მიზნები და ამოცანები; შეფასების ჯგუფის სამოქმედო პრინციპები; ჯგუფის შემადგენლობა; ჯგუფის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის მექანიზმები; მათი მოვალეობები; შეფასების ფორმები; მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში არსებული დოკუმენტების შეფასება; გაკვეთილის გეგმის წარდგენის პროცესი; გაკვეთილზე დასწრების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | პროცესი; გაკვეთილის შეფასების პროცედურები. გაკვეთილზე დაკვირვების შედეგად მასწავლებელი იღებს განმავითარებელ შეფასებას. მასწავლებლებმა ინტერვიურებისას ისაუბრეს იმაზეც, რომ ისინი ხშირად უზიარებენ ერთმანეთს საუკეთესო პრაქტიკის შემთხვევებს. სკოლაში ფუნქციონირებს კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი.<br>გარდა ამისა, სკოლა ორიენტირებულია როგორც საქართველოს, ასევე მის ფარგლებს გარეთ სკოლებთან/უნივერისიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, დახვეწოს მასწავლებელთა პროფესიული უნარების გაუმჯობესების მექანიზმები. დაწესებულება, როგორც DSD-პროგრამის სტატუსის მქონე რეგისტრირებული სკოლა, საზღვარგარეთის სკოლებში სწავლების გერმანიის ცენტრალური უწყების კონსულტანტ-კოორდინატორის კურატორობით მუდმივად ახდენს გერმანული ენის მასწავლებელთა პროფესიულ გადამზადებას. სკოლის გერმანული ენის მასწავლებლებს პროგრამის ფარგლებში მიღებული აქვთ DSD 1, DSD 2 გამომცდელის საერთაშორისო სერთიფიკატები Gold 1; Gold 2. მასწავლებლები მონაცვლეობით ყოველ წელს იმაღლებენ კვალიფიკაციას გერმანიაში სხვადასხვა მეთოდურ სემინარებში მონაწილეობით, ასევე აქტიურად არიან ჩართულები როგორც პროგრამის მიერ, აგრეთვე გოეთეს ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ სემინარებში, ასევე გოეთეს ინსტიტუტის და ილიას უნივერსიტეტის ერთობლივ მეთოდურ სემინარებში „გერმანულის სწავლა და სწავლება“. სკოლას ყოველ წელს ჰყავს მოხალისე გერმანელი მასწავლებელი ერთი წლით, რომელთან ერთადაც წარმატებით ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობებს. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო საგნებთან ინტეგრირებული სემინარების გამოცდილება. გერმანული ენის ინტეგრირებული სწავლების პროგრამის, CLILiG ფარგლებში გოეთეს ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს გერმანული ენისა და ფიზიკის პედაგოგებმა (2016 წ;).<br>შპს საქართველოს სასწავლო ცენტრი ჯი-ელ-სი 2018 წლიდან სკოლაში ახორციელებს ტოეფელის სასერტიფიკატო გამოცდებს ,,ინგლიშ ბუქ ედუქეიშენ“ მემორანდუმის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს მასწავლებელთა პროფესიული უნარების განვითარებასაც, რისთვისაც |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ახდენს გაკვეთილეზე (ოფლიან/ონლაინ) დაკვირვებას. მასწავლებელები იღებენ წერილობით რეკომენდაციებს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარის დეტალური აღწერით. ამასთანავე სკოლა სარგებლობს ,,ინგლიშ ბუქ ედუქეიშენ"-ის მიერ ორგანიზებული სემინარებით, ტრენინგებით და ვებინარებით (Attention! You are now leaving your Comfort Zone (როგორ მოვახერხოთ, რომ ონლაინ სწავლება არ იყოს დამღლელი და მოსაწყენი);Real world in your classroom (Project making); TOEFL junior listening exam; როგორ ვასწავლოთ ანბანი დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს; ეფექტური სწავლება, სახალისო აქტივობები და სხვ). მონაწილეობას იღებენ ყოველწლიურ სასწავლო კონფერენციებში.<br>მასწავლებელები ინტენსიურად ესწრებიან მასწავლებელთა სახლის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს და ცდილობენ იქ შეძენილი გამოცდილება გადმოიტანონ საგაკვეთილო პროცესში.<br>გარდა ამისა, სკოლა შიდა რესურსის ბაზაზე სკოლის საჭიროების შესაბამისად სასწავლო წლის განმავლობაში ახორციელებს სხვადასხვა სამუშაო შეხვედრას და სემინარებს, რომლებიც ითვალისწინებენ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვადასხვა მექანიზმების დახვეწა-განვითარებას. სკოლის მასწავლებლები გასაუბრებისას აღწერენ გაკვეთილზე დასწრების პროცედურებს და მასწავლებლის ან კლასის საჭიროების შესაბამის აქტივობებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მასწავლებლების პირადი საქმეები;<br>• შპს საქართველოს სასწავლო ცენტრი ჯი-ელ-სის სწავლების ხარისხის სამსახურის დებულება დამტკიცებული დირექტორის მიერ 30 აგვისტო 2019წ. ბრძანება #2/241;<br>• შპს საქართველოს ცენტრი ჯი-ელ-სის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება #2/310, 14 სექტემბერი, 2020წ.<br>• მასწავლებლის შეფასების ჯგუფის დებულება.<br>• მემორანდუმები: კარლსრუეს მერკურ აკადემია; ჰაიდელბერგის ენების აკადემია; ,,ინგლიშ ბუქ ედუქეიშენ".<br>• კათედრების ანგარიში; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ხარისხის ჯგუფის ანგარიშები;<br>• სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | როგორც თბილისის, ასევე ზუგდიდის ფილიალში სკოლის სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეები, მოსწავლეების მშობლები და თანამშრომლები გასაუბრებისას აქტიურად საუბრობენ სკოლაში არსებული დაცულობისა და კეთილგანწყობის გარემოს შესახებ. მშობლები აქცენტს აკეთებენ დამრიგებელსა და მოსწავლე/მშობელთან ურთიერთობის ასპექტებზე. მშობლები აქტიურად აღნიშნავენ, რომ მაღალი ნდობა აქვთ მათდამი. კმაყოფილებას გამოთქვამენ მათგან ინფორმაციის მიწოდების სისტემატურობისა და კონკრეტულ საჭიროებაზე თანამშრომლობის შესახებ. მოსწავლეები ხაზგასმით საუბრობდნენ სკოლაში ფსიქოლოგის მხარდაჭერაზე, რომელიც მათ პროფესიული ორიენტაციის საკითხშიც კი ეხმარება რჩევებით.<br>სკოლაში ფუქნციონირებს მოსწავლეთა თვითმართველობა, რომლის ფუნქციონირება ხორციელდება შპს საქართველოს სასწავლო ცენტრი ჯი-ელ-სის მოსწავლეთა თვითმართველობის დებულების საფუძველზე. ადმინისტრაციის მხარდაჭერით თვითმართველობა ატარებს სხვადასხვა აქტივობებს: საახალწლო საღამოები, ჰელოუინი, სპორტული შეჯიბრებები და სხვა. თვითმართველობის ყველა წევრი თანაბრად ინაწილებს პასუხისმგებლობას დაგეგმილ აქტივობებში.<br>თვითმართველობის დებულების საფუძველზე მოსწავლეთა ინიცირებით ორივე მისამართზე სკოლაში განხორციელდა არაერთი ღონისძიება და პროექტი: სასკოლო ტურნირი ბოულინგში, კალათბურთში, ჭადრაკში; სეზონურად იმართება ინტელექტუალური თამაში - რა? სად? როდის? მოხდა სკოლის ეზოს გამწვანება მოსწავლეების მონაწილეობით; საქველმოქმედო ღონისძიება ,,მომავლის გზაში“; სტუმრად ლილოს მიუსაფართა თავშესაფარში და სხვ. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მოსწავლეები დიდი სიამაყით საუბრობდნენ თვითმართველობის საქველმოქმედო მიმართულების განვითარებაზე:<br>• უკრაინელი მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა;<br>• სოციალურად გაჭირვებული ოჯახებისთვის აგროვებენ თანხას და ეხმარებიან პერიოდულობით საკვებით;<br>• ხანძრისგან დაზარალებულ ოჯახში თანასკოლელისთვის ფინანსური მხარდაჭერის აღმოჩენა;<br>• უფროსი ასაკის მოსწავლეები ეხმარებიან პატარებს რომელიმე საგანში არსებული პრობლემის დაძლევაში და მასწავლებლის მხარდაჭერით დამატებით ეხმარებიან სასწავლო ამოცანების გადაჭრაში და სხვ.<br>მშობლები აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ სკოლაში ხშირად აქვს ადგილი არაფორმალურ გარემოში შეხვედრებს, რაც პანდემიის პირობებში უფრო მეტად ეხმარება სასკოლო საზოგადოებას სოციალიზაციის პროცესში. მშობლებმა საუბრისას აღნიშნეს, რომ კვებასთან დაკავშირებით მიმართეს სკოლის ადმინისტრაციას. სკოლამ გაითვალისწინა მათი თხოვნა. ასევე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ სკოლის მთელი პერსონალი ჩართულია სხვა სკოლიდან გადმოსული მოსწავლეების სასწავლო პროცესში ინტეგრაციაში. მშობლებმა ეს სკოლის ძლიერ მხარედ დაასახელეს.<br>სკოლაში სწავლობს სხვადასხვა ეთნოკულტურის მქონე 5 მოსწავლე. ადმინისტრაცია პედაგოგების დიდ დამსახურებად თვლის, რომ ეს მოსწავლეები თავს გრძნობენ კომფორტულად, აღარ აქვთ ენობრივი ბარიერი და ერთმანეთის მიმართ კლასელებს მეგობრული ურთიერთობა აქვთ.<br>სოციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით კოვიდრეგულაციების სრული დაცვით, 2021 წლის ივნისში სკოლამ განახორციელა საზაფხულო ეკობანაკი ქობულეთში მოსწავლეებისთვის, სადაც დასვენებასთან ერთად მოსწავლეებმა გაიუმჯობესეს ენობრივი კომპეტენციაც.<br>მომავალში სკოლა გეგმავს თბილისისა და ზუგდიდის სკოლების ერთმანეთთან კიდევ უფრო მეტ ინტეგრაციას.<br>სკოლის აკადემიური დირექტორის მიერ სკოლის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ დასახელდა მაღალი თანამშრომლობითი კულტურა, რაც გამოიხატება სკოლაში მასწავლებელთა ურთიერთდასწრების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ინტენსივობით. თანამშრომლები საღად უყურებენ სკოლაში კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის არსებობას, რამდენადაც თვლიან, რომ ეს აუცილებელია პროფესიული ზრდისთვის. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის შინაგაწესი;<br>• შპს საქართველოს სასწავლოს ცენტრი ჯი-ელ-სის სასწავლო პროცესის რეგულირების წესი, დამტკიცებულია პედსაბჭოს მიერ ოქმი #1, 02.09.2021წ;<br>• შპს საქართველოს სასწავლო ცენტრი ჯი-ელ-სის მშობელთა კლუბის დებულების დამტკიცების შესახებ ბრძანება #2/241, 30 აგვისტო, 2019წ.<br>• ბრძანება #2/241, 30 აგვისტო, 2019 წ. შპს საქართველოს სასწავლო ცენტრი ჯი-ელ-სის მოსწავლეთა თვითმართველობის დებულების დამტკიცების შესახებ;<br>• მშობელთა კომიტეტის შეხვედრის სხდომის ოქმები;<br>• სკოლის ვებგვერდი;<br>• სოციალური ვებგვერდი;<br>• გაფორმებული ხელშეკრულებების შინაარსი;<br>• მშობელთა კომიტეტის ხელმძღვანელის მუშაობის წლიური ანგარიში;<br>• სკოლის წარმომადგენელთან გასაუბრება;<br>• მშობლებთან გასაუბრება;<br>• მასწავლებლებთან გასაუბრება;<br>• მოსწავლეებთან გასაუბრება; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | |
| რჩევები: | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ხარვეზები: | |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

ქ. თბილისი. 13.05.2022.

(შევსების ადგილი)
თარიღი
გვერდების რაოდენობა -58 გვერდი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.